სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 მარტი, 2026 წ.

ბრძანება №01-02/49

2025-2026 სასწავლო წლის **გაზაფხულის** სემესტრისათვის
აჭარის ა.რ. განათლების და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის ღონისძიების
„წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში
სემესტრული დაფინანსების მოსაპოვებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 მარტის №01-02/46 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს **პროგრამის** ,,პროფესიული და უმაღლესი განათლება“ **ქვეპროგრამის** „ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 051003) ღონისძიების „წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში დებულების დამტკიცების თაობაზე'' **აჭარის** ავტონომიური რესპუბლიკის **განათლებისა და სპორტის მინისტრის 2025 წლის 05 სექტემბრის №001-08/207 ბრძანების**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2025 წლის 18 სექტემბერს გაფორმებული №04-10/122 ურთიერთთანამშრომლობის შესახებ **შეთანხმებისა** და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 02 მარტის MES 3 26 0000248916 წერილისა და გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არუშიძის 2026 წლის ანაზღაურებადი შვებულების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 05 მარტის №01-06/56 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის აჭარის ა.რ. განათლების და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის ღონისძიების „წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში სემესტრული დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 მარტის №01-02/46 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. კონკურსში მონაწილეობის მიზნით ბსუ-ს **სტუდენტმა 2026 წლის 10 მარტიდან 27 მარტის 17:00 საათის ჩათვლით,** ბსუ-ს სტუდენტური პორტალის საშუალებით (,,წერილი კანცელარიას", რექტორის სახელზე) უნდა წარმოადგინოს:

ა) სტუდენტის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (შედგენილი წინამდებარე ბრძანების №1 დანართის შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (წინა (სემესტრის შეფასების საშუალო არითმეტიკული (მთელი სიზუსტის დამრგვალებით) 91 ქულის და მეტის მითითებით);

დ) იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრაციის თარიღისა და ადგილის შესახებ, გაცემული არაუადრეს 2026 წლის 10 თებერვლისა.

ე) სამეცნიერო/სტუდენტურ, საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებებში (კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ.), იმიტირებული სასამართლო პროცესში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერტიფიკატის და სხვ. ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტის დედანი მოთხოვნისთავე უნდა წარედგინოს საკონკურსო კომისიას).

ვ) ცნობა საბანკო რეკვიზიტის შესახებ (PDF ფორმატი).

2. წინამდებარე ბრძანების შესახებ **ბსუ-ს სტუდენტების ინფორმირება** განხორციელდეს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით და ასევე ბსუ-ს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის საჯარო გამოცხადების გზით.

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, რექტორის აპარატს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე,
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**